9671⁵

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 9 (320)

1967 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (320) სექტემბერი 1967 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

394. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

395. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

396. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შესახებ გორის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის და ბოგდანოვკის რაიონებში.

397. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

398. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 36-ე მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

399. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-13 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

### განყოფილება მეორე

400. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

401. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

402. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. გ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

403. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. გორდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

404. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

405. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. მურუსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

406. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. გალდავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 394 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1967 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 30 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 395 საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში, აქვთ ამ დარგში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 15 წლისა და გამოირჩევიან სანიმუშო საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 396 მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შესახებ ბორის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის და ბოგდანოვკის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილების შესასრულებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა ბორის, გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეჯორის, ლანჩხუთისა და ბოგდანოვკის რაიონებში. ყველა რაიონში ჩატარდა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების ორდღიანი სემინარი და შეიქმნა სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიანი სკოლები.

სასოფლო და სადაბო საბჭოები დაკომპლექტდა შესაფერისი კადრებით. მიმდინარე წლის მარტში აღნიშნული საბჭოების პირველ სესიებზე შეცვლილ იქნა 11 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გორის რაიონში 23 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლება აქვს 13-ს, ლანჩხუთის რაიონში 15 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან — 6-ს და სხვ.

სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად დაწინაურებული იქნენ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების აგრონომები, 8-წლიანი და საშუალო სკოლის დირექტორები და სხვა.

გეგეჭკორის, ლანჩხუთისა და გორის რაიონულ და სასოფლო საბჭოების სესიებზე განიხილეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. გარდა ამისა, მიმდინარე წლის აგვისტოში გეგეჭკორისა და გორის რაიონულმა საბჭოებმა თავიანთ სესიებზე მოისმინეს საკითხი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სხვა.

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ეხლა უფრო ღრმად წვდებიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა აქტუალურ საკითხებს. განსაზღვრულად შეაქვთ ისინი სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ორგანიზებულად ტარდება სესიები, გააქტიურდა მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მუშაობა.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების მიუხედავად ზოგიერთი სასოფლო და სადაბო საბჭოს მუშაობის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის გადაწყვეტილებებიდან. ისინი ნაკლებ ინიციატივას იჩენენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და სხვა დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების ნაწილი სათანადოდ არ არის მობილიზებული საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ზოგჯერ ადგილი აქვს კონსტიტუციური ნორმებისა და დემოკრატიული პრინციპების დარღვევის ფაქტებს, საბჭოების მუშაობაში ფართოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, სესიებზე საკითხების განხილვა ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს. გორის რაიონის ტყვიავის სასოფლო საბჭოს აღმასკომს მაისის შემდეგ სესია არ ჩაუტარებია, ამავე რაიონის ბერბუკის და გეგეჭკორის რაიონის დიშაყის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა მაისის თვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში სესიაზე მოისმინეს ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სპბიუჯეტო მუდმივი კომისიების ანგარიში, მაშინ, როცა აღნიშნული კომისიების უმრავლესობას მუშაობა არ ჰქონდა დაწყებული.

მოუმზადებლად ატარებენ სესიებს ბოგდანოვკის რაიონის გორელოვკის, სათხეს, გეგეჭკორის რაიონის კურუზს, ონოღლის, ლანჩხუთის რაიონის შუხუთის, ლესისა და სხვა სასოფლო საბჭოები.

არის შემთხვევები, როდესაც სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ვერ ერკვევიან მოქმედ კანონმდებლობაში, ხოლო ნაწილი სრულად არ იყენებს იმ უფლებებს, რომლებიც მათ კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული, გვერდს უვლიან საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტებს (გორის რაიონის ხელთუბნის, ატენის, ტყვიავისა და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებში).

ზოგიერთი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაკავშირებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტასთან. ბოგდანოვკის რაიონის გონდურის, სათხეს და ტამბოვკის სასოფლო საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისია დღემდე არ შედგომია მუშაობას.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომი საკმარის ყურადღებას არ უთმობს სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობას, არასათანადო დახმარებას უწევს მათ მუშაობაში. ბოგდანოვკის რაიონული საბჭოს აღმასკომს მიმდინარე წელს არ შეუსწავლია არც ერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გორის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის და ბოგდანოვკის რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების“ შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილების შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) მკვეთრად გაუმჯობესონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, ზუსტად დაიცვან სესიების მოწვევის ვადები, საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, რომლის მომზადებასა და განხილვაში ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუდმივ კომისიებს, დეპუტატებსა და აქტივს. ფართოდ გაშალონ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების გადაწყვეტილებანი იყოს კონკრეტული და ისინი სრულდებოდეს უყოყმანოდ; სისტემატურად მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, გაზარდონ მომთხოვნელობა მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) განუხრელად განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოები არიან, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოების გადაწყვეტილებანი და განკარგულებებს, რომლებიც მათ თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში მიიღეს, აუცილებლად უნდა ასრულებდეს ყველა თანამდებობის პირი, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები;

გ) მტკიცედ დაიცვან წესი, რომ აღმასკომმა ყოველ სესიაზე მოახსენოს დეპუტატებს თუ როგორ სრულდება წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები, დეპუტატთა მიერ შეტანილი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები. უზრუნველყონ რომ გაწეული მუშაობის შესახებ აღმასკომები პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშს შესაბამისი საბჭოს სესიასა და მოსახლეობას, მკვეთრად გაუმჯობესონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მუშაობა;

დ) რეგულარულად შეისწავლონ სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის და სხვა დარგების მუშაობის საკითხები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ე) საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით რეგულარულად ჩაატარონ სოფლებისა და დაბების მოსახლეობის კრებები (ყრილობები) და მოქალაქეთა განსახილველად გამოიტანონ სოფლისა და დაბის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, გააცნონ მოსახლეობას საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ვ) გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე, სისტემატურად შეამოწმონ რამდენად სწორად იყენებენ ისინი მიწის ფონდებს, როგორ იცავენ სოციალისტურ კანონიერებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა უფლებებს.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

განახორციელონ ღონისძიებანი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. უზრუნველყონ, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაჭრაში. განაზოგადონ და გაავრცელონ ცალკეული საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, პერიოდულად მოაწყონ თათბირ-სემინარები საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე და სრულყონ მათი საქმიანობის სტილი და მეთოდები. გააუმჯობესონ საბჭოების მუშაკთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ᲥᲘᲠᲘᲜᲘᲫᲔ.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲐᲞᲐᲩᲐᲫᲔ.**

**თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.**

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 397 „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ამხ. გ. ს. ბიწაძის მოხსენება, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სერიოზულად არღვევენ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებას.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ ასრულებს ამ ბრძანებულებით მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ასე მაგალითად: კასპის რაიონის კავთისხევის, ახალქალაქის, მეტეხის, ზემო ხანდაკის და ხოვლეს, ხაშურის რაიონის ოსიაურისა და ხცისის, აგრეთვე რიგი სხვა რაიონის სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს 1966—1967 წლებში არ განუხილავთ არც ერთი მასალა წანახდების შესახებ.

ხშირ შემთხვევაში საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობათა გამგეობები უხეშად არღვევენ აღნიშნულ ბრძანებულებას — წანახდით მიყენებული ზარალის ოდენობას განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს წარმომადგენლის დაუსწრებლად, დამნაშავე პირს თვითონ აჯარიმებენ ან მხოლოდ ზარალის ანაზღაურებას აკისრებენ (ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის „პრავდის“, ბოლნისის რაიონის ქვეშის, ლენინგორის რაიონის აბრევის და ქარელის რაიონის ბრეთის კოლმეურნეობები, მცხეთის რაიონის ნატახტარის მებოსტნეობა-მერძეველობის, კასპის რაიონის კავთისხევის, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობები და სხვა). არც თუ იშვიათია შემთხვევები როცა ჯარიმის თანხა აღემატება კანონით დადგენილს, ფულადის ნაცვლად ნატურით განისაზღვრება და გადახდევინებული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად კოლმეურნეობის ანგარიშზე შეაქვთ. მაგალითად: ლაგოდეხის რაიონის სოფ. კაბალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო დადგენილება ნათესებში დღისით დაჭერილი პირუტყვისათვის 10 მანეთით და ღამით დაჭერილისათვის კი 50 მანეთით დაჯარიმების შესახებ; ამავე რაიონის სოფ. ნინიგორის კოლმეურნეობა „დრუჟბაში“ წანახდისათვის გადახდევინებული ჯარიმა ჩარიცხეს კოლმეურნეობის სალაროში, ხულოს რაიონის სოფელ მეკეიძეების კოლმეურნეობაში წანახდისათვის დაწესეს ჯარიმა: ცხენზე — 10 მანეთი და მსხვილფეხარქოსან საქონელზე — 5 მანეთი. ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის 37 წევრს დააწერეს 795 კილოგრამი სიმინდი და 503 მანეთი ჯარიმა. წულუკიძის რაიონის გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის 14 წევრს დააკისრეს 166 კილოგრამი ხორბლის ანაზღაურება. რიგ რაიონებში ადგილი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ბრძანებულებით გაუთვალისწინებელი ზომების მიღებას, სახ. მაგალითად: გორის რაიონის სოფ. ტყვიავის კოლმეურნეობის წევრს ჩამოართვეს ცხენი და გადასცეს ბაკურიანის მელიების საბჭოთა მეურნეობას; ბათუმის რაიონის ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა განმეორებითი წანახედისათვის დაადგინა პირუტყვის ჩაბარება ხორცკომბინატში, ხოლო ამავე რაიონის მახინჯაურის სადაბო საბჭომ — სასამართლო პასუხისგებაში მიცემა. წანახედის შესახებ მასალებს ზოგჯერ არასწორად გადასცემენ ამხანაგურ სასამართლოებს (ბათუმის რაიონის თხილნარის და ბოლნისის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები).

აღნიშნული დარღვევები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებისა და ამ ბრძანებულების შესაბამისად დადებული ჯარიმებისა და ზარალის ანაზღაურების წესის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის დადგენილების განხორციელების საქმეში.

მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ქმედითი საპროკურორო ზედამხედველობა ამ ბრძანებულებისა და დადგენილების ზუსტად შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაეკალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებისა და ამ ბრძანებულების შესაბამისად დადებული ჯარიმებისა და ზარალის იძულებით გადახდევინების წესის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 31 იანვრის დადგენილების განუხრელი შესრულება, რისთვისაც:

ა) შეამოწმონ აღნიშნული ბრძანებულებისა და დადგენილების შესრულების მდგომარეობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და რეგულარული კონტროლი დააწესონ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაზე;

ბ) ფართოდ განუმარტონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ ნათესთა წანახედით და ნარგავთა დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდევინება წარმოებს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ დაუგზავნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის დადგენილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების აქტივის, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკების ზრუნვა წილეობით გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ნათესთა წანახედისათვის და ნარგავთა დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის საკითხებზე.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მკაცრად მოსთხოვოს ქვემდებარე ორგანიზაციებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესთა წანახედისათვის და ნარგავთა დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ზუსტად შესრულება.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მისცეს სათანადო მითითება ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, რათა მათ უზრუნველყონ ნათესთა წანახედისათვის და ნარგავთა დაზიანებისათვის დადებული ჯარიმების შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ნათესთა წანახედით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებასა და ჯარიმების გადახდევინების წესების ზუსტად შესრულებაზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

**თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.**

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 398 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 36-ე მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“

„ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ამოღებულ იქნეს „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ 1958 წლის 18 აპრილის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 4, მუხ. 13) 36-ე მუხლის „ბ“ პუნქტიდან სიტყვები: „როგორც სპეციალისტების მომზადების ძირითადი ფორმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 399 „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-13 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მე-13 მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ. № 30, მუხ. 628) და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგნაირად:

„13. სამკურნალო-შრომითი დაწესებულებიდან ან სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცევა ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 400 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ ოცი წლისთავთან დაკავშირებით, მშრომელთა ფართო მასებში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდის აქტიურ მონაწილეებს მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის — **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა:**

1. ვალერიან საბას ძე **ბახტაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

2. ილია ყაისარის ძე **თავაძეს** — შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორს.

3. პროკლე ლევარსის ძე **კეკელიძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

4. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ლანდიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორს.

5. შოთა ამბაკოს ძე **მესხიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

6. კონსტანტინე ნესტორის ძე **მეძველიას** — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორს.

7. ალექსი ალექსის ძე **მინდაძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

8. უშანგი პლატონის ძე **ობოლაძეს** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს, პროფესორს.

9. აკაკი ნესტორის ძე **სურგულაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

10. ნიკოლოზ იოსების ძე **შუბლაძეს** — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ნევროპათოლოგს.

11. ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

12. სერგო ნოეს ძე **სიგუას** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის— **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა:**

1. ბეგლარ ალექსანდრეს ძე **ახვლედიანს** — ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს.

2. გრიგოლ სიმონის ძე **ალავიძეს** — გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.

3. შალვა პარმენის ძე **ბარათაშვილს** — ქ. ჭიათურის სოფელ ზოდის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

4. ამბროსი მოსეს ძე **გოგუაძეს** — ჩოხატაურის რაიონის ზომლეთის საშუალო სკოლის დირექტორს.

5. ერდი ლაზარეს ძე **ვალიევს** — ზნაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.

6. კარაპეტ არმენაკის ძე **კარახანიანს** — ახალქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ნოე ლევანის ძე **კაკაშვილს** — ქ. ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

8. გიორგი ივანეს ძე **კავლელაშვილს** — ქარელის რაიონის რუისის საშუალო სკოლის დირექტორს.

9. ნაპოლეონ სილიბისტროს ძე **ლორთქიფანიძეს** — ვანის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლის დირექტორს.

10. ანტონ არჩილის ძე **მაჭარაშვილს** — ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ალმასკომის განათლების განყოფილების გამგეს.

11. ვასილ ალექსის ძე **მუჯირიშვილს** — დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის საშუალო სკოლის დირექტორს.

12. სიმონ სოლომონის ძე **ფეიქრიშვილს** — საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის საშუალო სკოლის დირექტორს.

13. ლეონიდე იასონის ძე **შაფაქიძეს** — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების საშუალო სკოლის დირექტორს.

14. ამბაკო ალექსანდრეს ძე **ჩაბრავას** — სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

15. ნინო პავლეს ასულ **ჩაკვეტაძეს** — ცაგერის რაიონის სოფელ ისუნღრის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

16. ვახტანგ მიხეილის ძე **წულუკიძეს** — აჭარის ასსრ განათლების მინისტრს.

17. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **ჭეჟიას** — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღას საშუალო სკოლის დირექტორს.

ხანგრძლივი სალექციო-პროპაგანდისტული მუშაობისათვის — **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:**

1. ოთარ ნიკოლოზის ძე **აბუთიძეს** — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტს.

2. ბეგლარ იოსების ძე **არუთინოვს** — საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

3. ბიძინა ვარლამის ძე **ბაკურაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის რეფერენტს.

4. გიორგი ქრისტეფორეს ძე **ბაბაევს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ ლექტორს.

5. ვიქტორ ბესარიონის ძე **ბიბილაშვილს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ლექტორიუმის დირექტორს.

6. ვლადიმერ მოსეს ძე **ბუაჩიძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის რეფერენტს.

7. გიორგი სერგოს ძე **გოგობერიშვილს** — ამბროლაურის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბენიამინ ილარიონის ძე **დობორჯგინიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, დოცენტს.

9. ლონგინოზ გლახუნის ძე **ერქომაიშვილს** — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტის გამგეს.

10. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ზედგინიძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტს.

11. ივლიანე სერაპიონის ძე **თოფურიას** — აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის“ განყოფილების გამგეს.

12. ვალერიან ალექსანდრეს ძე **ივარდავას** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

13. სოფიო ილიას ასულ **კევლიშვილს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის რეფერენტს.

14. ალექსანდრე ვარლამის ძე **კიკაბიძეს** — საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

15. სერგო ერმალოს ძე **კობახიძეს** — საქართველოს კომპარტიის ზიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

16. შოთა ალექსანდრეს ძე **მახარაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელ მდივანს.

17. მიხეილ კონსტანტინეს ძე **მახათაძეს** — საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეს.

18. მახმუდ მაგამედ ოღლი **ნაბიზადეს** — საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

19. ნადიმ იზეთის ძე **ნიეარაძეს** — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგეს, დოცენტს.

20. შოთა იოსების ძე **ნოზაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის რეფერენტს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს.

21. ალექსი პორფილეს ძე **პოლიხრონოვს** — საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის ლექტორს.

22. სტეფანე ივანეს ძე **სახაროვს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს.

23. სიმონ სიმონის ძე **სალარიძეს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

24. სერგო მიხეილის ძე **ფოფხაძეს** — თიანეთის ადგილობრივი რადიოგადაცემის კორესპონდენტ-ორგანიზატორს.

25. გიორგი ესტატეს ძე **ქერდიყოშვილს** — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეს.

26. მიხეილ სტეფანეს ძე **ქობალიას** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. გიორგი შალვას ძე **შალამბერიძეს** — საქართველოს კომპარტიის ბაკურიანის ტუბოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

28. ვლადიმერ თეიმურაზის ძე **ჩაკვეტაძეს** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს.

29. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ჩიკვაიძეს** — გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგეს.

30. ვასილ რაჟდენის ძე **ცირეკიძეს** — გაზეთ „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტს ქ. ტყიბულში.

31. კარლო ვარლამის ძე **ცქიტიშვილს** — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

32. ნიკოლოზ არტემის ძე **წიტაიშვილს** — მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

33. კონსტანტინე კირილეს ძე **წულუკიძეს** — მშრომელთა დეპუტატების თეთრიწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

34. შოთა ანდრიას ძე **ხანთაძეს** — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის განყოფილების გამგეს.

35. იროდიონ გიორგის ძე **ხანთაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" ლექტორს.

36. არჩილ ალექსანდრეს ძე **ხელაშვილს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგეს.

37. გრიგოლ სეოდის ძე **ხელაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობის რეფერენტს.

38. შალვა ალექსის ძე **ხომერიკს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობის რეფერენტს.

39. ზაალ სიმონის ძე **ჯორჯიაშვილს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობის რეფერენტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 11 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 401 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. არონ ბესარიონის ძე **აბულაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

2. ხარიტონ ახმედის ძე **ახვლედიანი** — აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

3. ვლადიმერ კასოს ძე **აიბა** — საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

4. გელა დომენტის ძე **ბანძელაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი.

5. შოთა იოსების ძე **ბასილაია** — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.

6. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **განუგრავა** — ზესტაფონის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

7. ვლადიმერ თეიმურაზის ძე **გოგილაშვილი** — საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორი.

8. ბეჟან ნიკოლოზის ძე **გრიგალაშვილი** — ორჯონიკიძის რაიონის ხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

9. ქეთევან ნიკოლოზის ასული **დგებუაძე** — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

10. სადრადინ სოელან ოღლი **დემირჩიევი** — მარნეულის რაიონის კაპანახჩის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

11. ვასილ ივანეს ძე **ელაშვილი** — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

12. ნიკოლოზ ალექსის ძე **ვარდოსანიძე** — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის განყოფილების უფროსი.

13. ამირან ალექსანდრეს ძე **თითბერია** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტი.

14. ნიკოლოზ ტარიელის ძე **თავართქილაძე** — თადარიგის გენერალი.

15. შალვა დენისის ძე **ინალ-იფა** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

16. ნიკოლოზ ექვთიმეს ძე **კვარაცხელია** — წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

17. შალვა გიორგის ძე **ლოლაძე** — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანი.

18. ვლადიმერ გიორგის ძე **მაჭავარიანი** — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

19. ალექსანდრე ბესარიონის ძე **მოწერელია** — კოლხიდის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსური საცდელი სადგურის დირექტორი.

20. ბონდო აკაკის ძე **მერკვილაძე** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

21. შოთა ვლადიმერის ძე **მისაბიშვილი** — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ზაქრო ყარამანის ძე **მოისწრაფიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

23. ქსენია კონსტანტინეს ასული **მახარაძე** — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის საამქროს უფროსი.

24. სტეფანე იაკობის ძე **მამუკაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

25. სევარიონ ტარასის ძე **მუსელიანი** — ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორი.

26. აკაკი ხახულის ძე **მაგრაქველიძე** — ონის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

27. ქეთევან თეოფანეს ასული **ნადირაძე** — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

28. ივანე მიხეილის ძე **ოვადოვსკი** — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

29. კონსტანტინე სერგოს ძე **რეხვიაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანი.

30. ლუსიანე პატუხის ძე **სოსელია** — მშრომელთა დეპუტატების გალის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

31. ნერსეს ოგანეზის ძე **სიმონიანი** — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ეშტიის საშუალო სკოლის დირექტორი.

32. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ტუუბა** — ოჩამჩირის № 2 საშუალო სკოლს დირექტორი.

33. გედეონ ვლადიმერის ძე **ფირცხალავა** — საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

34. კონსტანტინე მოსეს ძე **ფაცურია** — ლანჩხუთის რაიონის სოფ. შრომის უბნის 8-წლიანი სკოლის დირექტორი.

35. პავლე მიხეილის ძე **ღუდუშაური** — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

36. გიორგი ელიზბარის ძე **შათირიშვილი** — თელავის რაიონის სოფ. იყალთოს ღვინის ქარხნის მეღვინე-ტექნოლოგი.

37. ლევან ალექსანდრეს ძე **შალამბერიძე** — მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

38. ნოდარ ნიკოლოზის ძე **შონია** — საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

39. იოსებ ილიას ძე **შავაძე** — საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

40. ქსენია დავითის ასული **შოთნიაშვილი** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის მთავარი ბუღალტერი.

41. გიორგი ივანეს ძე **ჩირიკაშვილი** — გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. ზურაბ გრიგოლის ძე **ძინძიბაძე** — ლენინგორის რაიონის წინაგარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

43. ლევან ახმედის ძე **ძნელაძე** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის ქ. ბათუმის პლანეტარიუმის დირექტორი.

44. ვლადიმერ სტეფანეს ძე **წიკლაური** — საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

45. გიორგი გაბრიელის ძე **ხორგუაშვილი** — კასპის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

46. ლიანა შალვას ასული **ჯვებენავა** — საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.**

თბილისი, 1967 წლის 11 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 402 ამხ. ლ. გ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ა. ვ. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ლევან გიორგის ძე **გველესიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.**

თბილისი, 1967 წლის 13 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 403 ამხ. ბ. ნ. გორდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანელი — პროფესორი გიორგი ნესტორის ძე **გორდაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 13 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 404 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების დროს სამშენებლო ობიექტებზე აქტიური მუშაობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 15 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 405 ამხ. ა. ა. მურუსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. აფრასიონ ანთიმოზის ძე **მურუსიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 406 ამხ. ი. ი. გალდავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის ხარისხის შემფასებელი ბიუროს უფროსი ამხ. ივანე ივანეს ძე გალდავაძე დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოზანიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.**

თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში მგზავრთა მომსახურების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა — კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. აბუთიძემ აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამტრედიის რკინიგზის განყოფილების სადგურებში მგზავრთა მომსახურება. განყოფილების კოლექტივს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისათვის გადაეცა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთანავე აღინიშნა, რომ მგზავრთა მომსახურების საქმეში სამტრედიის განყოფილებას ჯერ კიდევ აქვს არსებითი ნაკლოვანებანი. ზოგიერთ სადგურში, ვაგონებში აღგილი აქვს ანტიასანტარიას, სანიტარული ვაგონები ყოველთვის არაა უზრუნველყოფილი თეთრეულით. ყველგან არ არის მოწყობილი დედათა და ბავშვთა ოთახები. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ გამცილებელს უბილეთოდ გადაყავს მგზავრები. სერიოზული ნაკლოვანებებია რკინიგზის რესტორნების მუშაობაში.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა—ზ. ბუცხრიკიძემ, ი. ქარუმიძემ, ს. სიხარულიძემ, ნ. ლაკიამ, ნ. ბერიძემ, სამტრედიის სამგზავრო განყოფილების უფროსმა ა. წილოსანმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილემ გ. კიკნაძემ, სავაგონო სამსახურის უფროსმა გ. ცქვიტინიძემ, საექიმო სანიტარული სამსახურის უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსის მოადგილემ ზ. ცინცაძემ, რკინიგზის რესტორნების ტრესტის მმართველმა ს. დონაძემ და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა.

განხილულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება სიღნაღის რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სიღნაღის რაიონის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზულ მუშაობას ეწევიან, რათა მომზადებული შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. კულტურის სახლებში, კლუბებში და ბიბლიოთეკებში სისტემატურად ეწყობა დიადი თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

სხდომაზე აღინიშნა ზოგიერთი ნაკლოვანებებიც კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საქმეში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ბოდბისხევის, მაღაროს, ულიანოვკის სასოფლო კლუბები. მათ არ ყავთ შემოკრებილი აქტივი, იშვიათად ეწყობა ლექციები და მოხსენებები. ნაკლოვანებებია ზოგიერთი სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობაში, რომლებიც ვერ ასრულებენ მკითხველთა მომსახურებისა და წიგნის გაცემის გეგმას. მათ საქმიანობაში არ არის გამოყენებული საბიბლიოთეკო მომსახურების აქტიური ფორმები და მეთოდები.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრმა დეპუტატებმა: გ. ყიფიანმა, ნ. მგელიაშვილმა, ა. მექვაბიშვილმა, რ. ლაღიძემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ა. კალანდარიშვილმა, სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მაზიაშვილმა, სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ი. სიმონიშვილმა და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება გეგეჭკორის, ოჩამჩირის, ჩოხატაურისა და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებებია განხორციელებული ჩაის წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად. გაშენდა ბევრი ახალი პლანტაცია. ამასთან დიდი ყურადღება ექცევა არსებული პლანტაციების მოვლა-დამუშავებას. ჩაის პლანტაციების გასხვლის, გაპოხიერების, გათოხვნისა და სხვა სამუშაოთა შესრულების დროს ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. ამ რაიონებში ყოველწლიურად იზრდება ჩაის პლანტაციების ფართობი და საშუალო მოსავლიანობა, რის შედეგადაც საგრძნობი გადაჭარბებით სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები და ვალდებულებანი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მიუხედავად დიდი მიღწევებისა, ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების საქმეში შემოწმებული რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. ახალი ჩაის პლანტაციების ნაწილი სათანადოდ არ არის დაცული.

რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩაის მეჩხერიანობას. არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი ჩაის მექანიზებული კრეფა.

ნაკლოვანებებია ჩაის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სათანადო ფარდულების უქონლობის გამო, ზოგიერთ კოლმეურნეობაში, ღია ცის ქვეშ არის მიტოვებული ჩაის საკრეფი მანქანები და სხვა ტექნიკა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის წევრმა, დეპუტატებმა: მ. ორაგველიძემ, შ. მახაძემ, ი. კავილაძემ, შ. ვერულაშვილმა, გ. კავთიაშვილმა, პ. გუნიამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსმა პ. ჯორბენაძემ, წულუკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ შ. საღინაძემ და სხვებმა.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

## საინფორმაციო ცნობები

1967 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მდივანთა თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, რომელმაც შეკრებილთ ჩაუტარა ვრცელი საუბარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შუქზე ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგის მ. პ. ბაღათურიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების გამგის პ. კ. ცაგარეიშვილისა და პრეზიდიუმის სხვა პასუხისმგებელი მუშაკების საუბრები საბჭოების მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ს. ბიწაძემ საუბარი ჩაატარა აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ.

გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარის მონაწილეთა შორის გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მ. ყ. ლომიძის, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მინისტრის მოადგილის პ. ვ. კოვალჩუკის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების განყოფილების გამგის ა. მ. ღლონტის და სხვა პასუხისმგებელ მუშაკთა საუბარი სამეთვალყურეო კომისიების უფლება-მოვალეობების, შრომა-გასწორების დაწესებულებებში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში ამ კომისიების ამოცანებისა და პრაქტიკული მუშაობის სხვა კონკრეტული საკითხების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, რომელმაც შეაჯამა თათბირ-სემინარის მუშაობა, ვრცლად გააშუქა ის ამოცანები, რომლებიც დგას სამეთვალყურეო კომისიების წინაშე.

*

* *

1967 წლის 26 სექტემბერს გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარი გახსნა და შეკრებილი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგის ამხ. დ. ა. ლორიას, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის ვ. ი. შადურის, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის ფ. ა. ანანიაშვილისა და სხვა პასუხისმგებელი მუშაკების საუბრები ადმინისტრაციულ კომისიათა უფლება-მოვალეობანის, ადმინისტრაციულ დარღვევათა თავიდან აცდენისა და პრაქტიკული მუშაობის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრებილთ თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ტყიბულის, ზესტაფონის, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის და სხვა რაიონების და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მუშაკებმა.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“ დაჯილდოვა 542 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 40 |
| „ რუსთავიდან | | 7 |
| „ გორიდან | | 5 |
| ადიგენის | რაიონიდან | 6 |
| ამბროლაურის | „ | 8 |
| ასპინძის | „ | 5 |
| ბოლნისის | „ | 40 |
| დუშეთის | „ | 10 |
| გურჯაანის | „ | 1 |
| ზუგდიდის | „ | 12 |
| თეთრიწყაროს | „ | 13 |
| თერჯოლის | „ | 10 |
| თელავის | „ | 4 |
| თიანეთის | „ | 2 |
| ლაგოდეხის | „ | 14 |
| მარნეულის | „ | 269 |
| მცხეთის | „ | 10 |
| მესტიის | „ | 7 |
| საჩხერის | „ | 15 |
| სიღნაღის | „ | 4 |
| ყვარლის | „ | 21 |
| ჩოხატაურის | „ | 4 |
| წალკის | „ | 26 |
| ხობის | „ | 9 |